ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №49

18 აგვისტო 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები-გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, არჩილ გორდულაძე,ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურიდან--გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**
1. ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ. **საკრ.№12-032321260-03 31/07/23**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **საკრ.№15-032322753-03 15/08/23 (№11-01232271680 15/08/2023); საკრ.№15-032322975-03 17/08/23 (№11-01232292132 17/08/2023)**
დღის წესრიგი დამტკიცდა.
მოისმინეს: ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მომზადებულია მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 919,095.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 883,126.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 96.1%.

შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 6 თვის გეგმა 891,290.3 ათასი ლარი, ფაქტიურად 838,791.9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 94.1% და მთლიანი - შემოსულობების 95% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 519,112.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (514,112.2 ათასი ლარი) 101%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 485,163.3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 33,949.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 218,713.6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 216,682.7 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია – 711.0 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,320.0 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 206,269.1 ათასი ლარი) შედარებით 12,444.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2022 წლის 6 თვის ფაქტი - 203,419.8 ათასი ლარ

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 300,398.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (311,112.2 ათასი ლარი) 96.6%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 278,894.2 ათასი ლარი) შედარებით 21,504.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 165,580.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (253,762.9 ათასი ლარი) 65.2%-ია, მათ შორის საერთაშორისო რგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 26.7 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 165,553.4 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 277.8 ათასი ლარი
(გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან და ა(ა)იპ(ებ)-დან - 75.6 ათასი ლარი (ა(ა)იპ თბილისის მედიათეკების გაერთიანების (ს/ნ404967067) მიერ სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 165,000.0 ათასი ლარი (მათ შორის თბილისის მასშტაბით არსებული ქუჩების/გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (მათ შორის შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება)), ვაგონების მოდერნიზაციის სამუშაოები, M3 კატეგორიის ავტობუსების (160 ერთეული 18 მეტრიანი) საავანსო ვალდებულების დაფარვა, ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები, საქალაქო და რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებების სამუშაოები, რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, ხიდების და გვირაბების, წყალსადენის, სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ზღვის უბნის (დენდროლოგიური) პარკის, სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე კუნძულების და სარწყავი სისტემების მოწყობის სამუშაოები; დასუფთავების ღონისძიებების ფარგლებში სპეც ტექნიკის შეძენა; საბავშვო ბაგა-ბაღების, სპორტული მოედნებისა და ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრძელდება ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ლადო გუდიაშვილის მოედანზე

არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 200.0 ათასი ლარი („საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელების პროცესში, პროექტების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების, საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურების ანაზღაურების მიზნით, ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად (მათ შორის საპენსიო შენატანი).

სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 123,415.2 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 154,099.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 124.9%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 106,740.9 ათასი ლარი) შედარებით 47,358.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე, მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) მოდის.

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8,207.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,600.0 ათასი ლარი) 315.7%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (3,700.5 ათასი ლარი) შედარებით 4,506.8 ათასი ლარით მეტია. რენტის სახით მობილიზებულია 2,493.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,650.0 ათასი ლარი) 94.1%-ია, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მიღებულია 1,062.6 ათასი ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,430.8 ათასი ლარი. ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 79,633.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (74,366.7 ათასი ლარი) 107.1%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 10,949.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (8,050.0 ათასი ლარი) 136%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (6,946.5 ათასი ლარი) შედარებით 4,002.9 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 9,882.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 1,067.4 ათასი ლარი.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან მიღებულია 0.9

ათასი ლარი, რაც გეგმის (1.7 ათასი ლარი) 52.6%-ია.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 41.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (15.0 ათასი ლარი) 278.7%-ია. (გადავადების მოსაკრებელი გადახდილია 218 წვევამდელის მიერ.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 28,354.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (30,000.0 ათასი ლარი) 94.5%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (22,841.4 ათასი ლარი) შედარებით 5,512.9 ათასი ლარით მეტია. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 14,825.7 ათასი ლარი (52%), წამახალისებელი გათამაშებიდან - 1,180.9 ათასი ლარი (4%), სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან - 600.0 ათასი ლარი (2%), ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან - 1.0 ათასი ლარი (0.004%), ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 11,746.7 ათასი ლარი (41%):

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 36,523.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (32,500.0 ათასი ლარი) 112.4%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (31,059.4 ათასი ლარი) შედარებით 5,464.2 ათასი ლარით მეტია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 3,705.0 ათასი ლარი (მათ შორის შპს ვაჟა-ფშაველა თაუერსის მიერ გადახდილია 3,267.2 ათასი ლარი,

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლიდან მიღებულია 58.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (100.0 ათასი ლარი) 58.6%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 642.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (975.0 ათასი ლარი) 65.8%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 623.7 ათასი ლარი, შემოსავალი მანქანადანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 0.2 ათასი ლარი, შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 5.0 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 13.1 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 59,114.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (39,193.2 ათასი ლარი) 150.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (33,926.9 ათასი ლარი) შედარებით 25,187.3 ათასი ლარით მეტია.

2023 წლის 6 თვეში გადასახდელების შესრულების 77%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2022 წლის 6 თვესთან - 633,558.9 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 100,951.0 ათასი ლარით მეტი.

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 949,587.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 734,509.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 77.4%-ია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 255,415.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (307,842.0 ათასი ლარი) 83%-ია;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 86,692.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (131,636.1 ათასი ლარი) 65.9%-ია;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 98,699.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (126,411.7 ათასი ლარი) 78.1%-ია;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 726.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (1,538.3 ათასი ლარი) 47.3%-ია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 17,998.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (18,000.6 ათასი ლარი) 99.99%-ია;

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 71,805.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (78,280.3 ათასი ლარი) 91.7%-ია;
- განათლება - 116,249.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (140,691.0 ათასი ლარი) 82.6%ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 19,124.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (46,792.5 ათასი ლარი) 40.9%-ია;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2,330.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (4,601.9 ათასი ლარი) 50.6%-ია;
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 65,466.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (93,793.0 ათასი ლარი) 69.8%-ია.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვის შესახებ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, გლდანისა და ვაკის რაიონში სხვადასხვა ლოკაციებზე გზების რებილიტაციისათვის, პროგრამიდან „გზების მშებელობა და აღდგენა“ (პროგრ/კოდი 01 01 01) წლიური გეგმის ასიგნებიდან 1 800 000 ლარის გადანაწილება ხდება: „გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 12) 1 000 000 ლარი და „გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 15) – 800 000 ლარი.
პროგრამის „გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“(პროგ/კოდი 02 05) წლიური გეგმის ასიგნება მცირდება 800 000 ლარით .თანხები ნაწილდება შემდეგ პროგრამებზე „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურული ობოექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ (პროგ/კოდი 02 01) 500 000 ლარი და „საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოების ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 02 03 01) – 300 000 ლარი. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია ნიკოლაძის ქუჩაზე გამავალი სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (500 000 ლარი) და უნივერსიტეტის და ქავთარაძის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისთვის. (300 000 ლარი)
„გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 14) მესამე კვარტლის გეგმა 170 000 ლარით.
„გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 17) მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 700 240 ლარით. თანხების გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.
იზრდება ასევე „სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის“ (პროგ/კოდი 08 01 05) მესამე კვარტლის გეგმა 5 000 ლარით დეკორაციებისათვის.
გარდა ამისა მთაწმინდის რაიონული გამგეობის მოთხოვნით, 45 000 ლარით იზრდება, რაიონის „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ (პროგ/კოდი 06 02 16 16) ასიგნება, შესაბამისად მცირდება „სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (პროგრ/კოდი 06 02 18 06)ასიგნებები.

მომხრე-4 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ, მიხეილ კაკაურიძემ, საბა ბუაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის, ვაკის, ისნისა და მთაწმინდის რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში

ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა, უმრავლესობით გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა დამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე